საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი, 15 დეკემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 119 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 119

## მღვდელნი და მცხოვარნი

ქართველ მენშევიკებსა და შავ სამღვდელოებას შუა შავმა კატამ გაირბინა. „დემოკრატიის" სამეფოში, სადაც სოციალიზმისკენ" პირდაპირი გზით მიემართებიან, შეუძლებელი შეიქნა კონფლიქტი სამღვდელოებასთან და ამ კონფლიქტში თავდამსხმელ მხარეს ბერები წარმოადგენენ, ხოლო თვით ეს შეჯახება იმდენათ გაიზარდა, რომ ლამის სახელმწიფო გადატრიალების ხასიათი მიიღოს.

ეკლესია მუდამ იყო მენშევიკების სახელმწიფოს ერთი საფუძველთაგანი, რომელიც დღესაც არ არის სახელმწიფოდან გამოყოფილი, ხოლო უწმინდესი სინოდი შინაგან საქმეთა სამინისტროში ირიცხება და სამღვდელოებას დღემდე არ მოსპობია ხაზინიდან ჯამაგირის მიღება. თავისი პოლიტიკური ბატონობის სამი წლის განმავლობაში მენშევიკებს ერთი ბეწვიც არ შეუხრიათ თეთრი და შავი სამღვდელოების ცამამშვენებელ თმის ნაწნავებში, არავითარი ზომები არ მიუღიათ იმ რელიგიური საწამლავის წინააღმდეგ, რომელსაც ხალხში ავრცელებდენ ეს ანაფორაში გამოხვეული ჟანდარმები.

მენშევიკებმა არამც თუ არ გამოამზეურეს „წმიდანების უხრწნელი ნაწილები", რომ ამით ცხადეყოთ მთელი სიფლიდე მატყუარა მღვდელ მონაზნებისა, მათ ანტირელიგიური პროპაგანდაც კი ვერ გაბედეს; პირიქით: ისინი თავისი პირდაპირი მოქმედებით პროპაგანდას უწევდენ რელიგიურ ცრუმორწმუნეობათა და ჩვეულებათა სასარგებლოთ, თითონ იწვევდენ სამღვდელოებას მკვდრებზე და ცოცხლებზე ამა თუ იმ მღვდელმსახურების შესასრულებლათ, ესწრებოდენ ღვთივ განსვენებულ მიტროპოლიტების სულის მოსახსენებელ პანაშვიდებს და სხვადასხვა სატაძრო დღესასწაულებს.

რა გასაკვირვია ამის შემდეგ, თუ სამღვდელოებაც მეტის მეტათ გაკადნიერდა. ხუცების და ბერების "უკანასკნელ საეკლესიო მიტინგზე ისეთმა სულიერმა განწყობილებამ იჩინა თავი, რომ თვით მენშევიკებმაც კი გაკვირებისაგან თვალები დაპრაწეს. მორწმუნეთა დემოკრატიული საზოგადოების ნაცვლათ—წმინდა ნინოს სახელობის კლერიკალური საზოგადოება! ქრისტეს მორჩილ მსახურთა სასულიერო ძმობის ნაცვლათ—ანაფორაში მოვლენილ მებრძოლ რეაქციონერთა კასტა!

მიუხედავათ ამისა, როდესაც მენშევიკები იმუშავებდენ ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის კანონპროექტს, მათ არა თუ არ გარიყეს სამღვდელოება, პირიქით დასტოვეს ის სახელმწიფო სამსახურში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში (ციხეები, თავშესაფარები და სხ.), ჯარში, ფლოტში და ასე წარმოიდგინეთ თვით გვარდიაშიაც, იმ გვარდიაში, რომელიც მენშევიკების ფიცით სოციალისტებისაგან შესდგება და სოციალიზმისთვის იბრძვის!

რაღა თქმა უნდა, სამღვდელოებამ ყოველივე ამის ანგარიში გაუწია და გამედიდურდა. გელათის მონასტრის ბერებმა, ყაჩაღური თავხედობით გაანგრიეს განძეულობათა დამცველი კედელი და დაიწყეს გაყიდვა ძვირფასი საგნებისა,—აქაო და ესენი საჭირონი არ არიან მღვდელ მსახურების დროსო. ხატებიდან ამოღებული აღმოჩნდა ძვირფასი თვალები და სხ. თითქოს ეს მომენტი მეტათ ხელსაყრელი იყო, რომ მენშევიკებს ახლა მაინც საფუძვლიანათ გამოემზეურებინათ ბერ მონაზვნების მთელი სიცრუე. მაგრამ მენშევიკებმა მხოლოთ იმის უნარი გამოიჩინეს, რომ მონასტერში გაეგზავნათ განსაკუთრებული კომისია და გადმოეტანათ იქიდან მონასტრის განძეულობა ხაზინის საკუჭნაოში, რასაკვირველია, უკეთ შესანახათ და დასაცავათ.

მაგრამ ამ წყნარმა ზომამაც წყრომის და აღელვების მთელი ორონტრიალი გამოიწვია მონასტრებსა და მღვდელ მთავრებში.

„მთელი საქართველოს" კათალიკოს-პატრიარქი თავისი ამალით მიდის მთავრობის თავმჯდომარესთან და ამხილებს მას, როგორც წინასწარმეტყველი იერემია ამხილებდა ურწმუნოთ, მაგრამ ამხილებს მას თანამედროვე რევოლიუციონური კილოთი. ამაზე მას მოსთხოვეს კაბინეტიდან გაბრძანდითო, მაშინ პატრიარქი წერილით მიმართავს მთავრობის თავმჯდომარეს, რომელსაც ის ალბათ თავის სამწყსო ცხოვარათ სთვლის; ამ წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია სპეკულიანტების გაზ. „საქართველოში", მორჩილი ბერი იმუქრება, რომ თუ გელათის მონასტერს არ დაუბრუნდა „მისი საკუთრება", ის და მთელი სამღვდელოება იტოვებს „მოქმედების თავისუფლებას", რასაც უეჭველათ მოყვება საშინელი „ჭიაკოკონა", რომლის ალი თურმე ზეცას მისწვდება. აი იმ მენშევიკური პოლიტიკის ნაყოფი, რომელსაც ისინი აწარმოებდენ ეკლესიისა და მის მსახურთა მიმართ. აი რა ენით ლაპარაკობენ „სოციალისტური რესპუბლიკის" ხუცები და ბერები.

„ერთობამ" უკვე რამდენიმე მოწინავე უძღვნა ქრისტეს მემკვიდრეთა ამ აჯანყებას, მაგრამ ეს სტატიები ჰირველ ცხოვარს უფრო შეეფერება, და არა დემოკრატს, თუნდაც იგი წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატი იყოს.

აქ ადგილი არა აქვს რაიმე გადაჭრილ მოქმედებას, რომელსაც შეეძლოს სასიკვდილო ლახვარი დასცეს ხალხის წყვდიადის განმამტკიცებელ დაწესებულებას, აქ მხოლოდ უწყინარი მასლაათია გამართული იმის შესახებ, რომ მონასტრების ქონება მთელ ხალხს და სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს და არა დღევანდელ მიტროპოლიტებს და ბერებს. და ასეთი მასლაათი ალბათ მანამდე გაგრძელდება, სანამ მებრძოლი სამღვდელოება თვით არ გადავა სიტყვიდან საქმეზე, დამუქრებიდან მის შესრულებაზე.

## აგრარული რეფორმის მოულოდნელი შედეგი

როგორც ვიცით, ქართველ მენშევიკების აგრარულ რეფორმამ მათი „რევოლიუცია" დააგვირგვინა ღირსეულათ: ნასყიდობის ქაღალდი, ცნობილი „ქუფჩა" მათ გამოაცხადეს „კომუნისტური მანიფესტის" დამატებათ და შეუდგენ ჩამორთმეულ მიწების ნაშთების აღწერას, გადაწერას, ჩაწერას, ხელახლა გადაწერას და სხ., ასე რომ თითონაც არ იციან, რომელ საფეხურზეა ასული ეს მათი რეფორმა, ეს მათი რევოლიუციონერობის პირმშო არ იციან დღესაც, მესამე წლის მიწურულში. და ახალი მიწათმოქმედებისა თავის მოვალეობის ასრულებას იწყებს მით რომ სამინისტროს ადგილობრივ ჩინოვნიკების კონფერენციას აწყობს იმის გასაგებათ, თუ როგორია რევოლიუციური რეფორმის საქმე, რომელსაც ლამისაა ობი მოეკიდოს სამინისტროს დეპარტამენტების თაროებზე. ამასობაში ცხოვრება კი არ იცდის და კუჭის საკითხებს ამწვავებს. იმ რესპუბლიკაში, რომელსაც სიმინდის რესპუბლიკა უწოდეს, სიმინდიც აღარ მოიპოვება საკმარისი, „კუკურუზნაია" რესპუბლიკაში ჭადის ფქვილი თითქმის ფუფუნების საგნათაა ქცეული—იმდენათ ნაკლები და ისე ძვირი დარჩა ის ჩვენს ღარიბ-ღატაკებისთვის. და აი მეორე გვირგვინი ედგმის მენშევიკების დაუსრულებელ რეფორმას „სათემო ბეღლების" სახით. გაზ. „ერთობა" იტყობინება, რომ გურიის ერობა დამდგარა ასეთი ბეღლების დაარსების გზაზე. ყველა თემში განზრახულია ბეღლის დაარსება. მცხოვრებნი იყოფა 4 კატეგორიათ რის მიხედვით იხდიენ მეტ—ნაკლებ რაოდენობას სიმინდისას, მხოლო მეოთხე, უღარიბეს ნაწილს არაფერი არ შეაქვს ბეღელის ასავსებათ. სათემო ბეღლიდან სიმინდი მიეცემათ დამშეულებს სესხათ და მხოლოდ სესხად. „ერთობის" კოლეჟსკი რეგისტრატორი განი აღტაცებული გვატყობინებს, რომ „იდეია საზოგადო ბეღლების დაარსების იმდენათ დროული და მნიშვნელოვანია", რომ „ეს მეტად სასარგებლო საქმე ბრწყინვალეთ დამთავრდება და მაზრის დამშეული ნაწილი, ასე თუ ისე, დაზღვეული იქნება დამშევისაგან და სპეკულიანტების ბასრი კლანჭებისაგან"-ო. აი შედეგი მენშევიკების „უაღრესად რევოლიუციონური" აგრარული რეფორმის! სამოწყალო სესხი სათემო ბეღლიდან ღარიბ მშრომელ გლეხებს, რათა „ასე თუ ისე" შიმშილით სიკვდილს გადურჩენ. და რაკი ბეღლის ავსება შეძლებულთ ეკისრებათ და მათი განკარგულება სათემო გამგეობის ხელში იქნება—ღარიბ-ღატაკნიც მათი შემყურე, მათი მორჩილი უნდა შეიქნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სესხათაც ვერ მიიღებენ რამდენიმე ფუთ სიმინდს. მაგრამ გ. გან-ის სახელმწიფოებრივი შორს მჭვრეტელობა ამაზე არ ჩერდება, მისი დიაგნოზით ამ ბეღლებს საერთო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიეცემა: მთავრობა ისარგებლებს საჭიროების დროს ამ ბეღლებით და ერთი მაზრიდან მეორე დამშეულ მაზრას მიაწოდებს სიმინდს და ასე გადაჭრილ იქნება ჩვენებურათ, რევოლიუციონურათ აგრარული და ხალხის გამოკვების საკითხი! მაგრამ ჩვენი რეგისტრატორი სულ ტყუილად ხმარობს ამ შემთხვევაში ასეთ მაღალ სიტყვებს, როგორც „იდეია", „ბრწყინვალე" მომავალს ბეღლებისას და სხ.: ეს ბრწყინვალე „იდეია" პირმშო შვილია რუსეთის მეფის ბიუროკრატიის, მან შემოიღო საზოგადო ბეღლები (обществ. амбары), რათა დამშეული გლეხობა ჩაეჩუმებია ხორბლის გასესხებით და ამ გზით აეცილებინა თავიდან ნამდვილი რევოლიუციონური, ჭეშმარიტად გლეხური მიწის რეფორმა. ასე რომ, ეს „იდეიაც", როგორც ბევრი სხვა, ნასესხებია ნეტარ ხსენებულ რეაქციონურ ბიუროკრატიისაგან.

## ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

**ოსმალეთი და საბერძნეთი.**

**სტამბოლი,** 30 ნოემბერი. გაზ. „ილლერი", საბერძნეთ-ოსმალეთის დაახლოვების და საბერძნეთში მომხდარ ამბების შესახებ სწერს:

„ვენიზელოსის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი უთუოდ ზომიერი ხალხია. ისინი ცდილობენ ლოღიკურ გზით სვლას, უფრთხიან მოუფიქრებელ ნაბიჯების გადადგმას და ლმობიერებით ეპყრობიან მეზობლებს. ასეთ პოლიტიკურ მოღვაწეებთან იოლია და საამო შეთანხმება, მით უმეტეს მიტომ, რომ ვენიზელოსის დამარცხების შემდეგ ჩვენ დიდი ოპტიმიზმით შევყურებთ მომავალს. ამ ჟამათ საბერძნეთში მთელი ხალხი დარწმუნებულია, რომ იარაღის რახუნით ვერავითარ სასურველი შედეგების მიღწევა არ შეიძლება.

**ანგორის პოლიტიკა**

ანგორა, 29 ნოემბერი. გაზ. „ხაცკმილა" სწერს: „ანატოლია მოითხოვს რომ სახელმწიფოს შიგნით დამყარდეს სრული თავისუფლება, თანასწორობა და შრომის ბატონობა, საგარეო პოლიტიკაში—კი—დამყარდეს ერთა სოლიდარობა. ანატოლია ამ გზას დიდიხანია დაადგა და კიდევაც დიდი მანძილი განვლო ამ გზაზე. ვისაც სურს ამაში დარწმუნდეს, მის მდგომარეობას და დაინახავს, რომ შიგ—ანატოლიაში გამეფებულია სრული თავისუფლება.

ამ სრული თავისუფლების წმინდას წარმოადგენს ანგორის მთავრობა, რომელიც ეყრდნობა სრულ უფლებიან დიდ ეროვნულ ყრილობას. ამ ყრილობამ მოსპო ცენზურა.

ანატოლია ამ ბრძოლის ქარტეხილში, რომელიც დაიწყო მან დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, მხედველობიდან არ უშვებს, რომ სხვა ხალხების პატივისცემითა შესაძლებელი საკუთარი თავისადმი პატივის მოპოვება. ყველასთვის ცხადია, რომ ოსმალებმა თავისუფლების დასაცველი ბრძოლა სხვა ხალხების უფლების დასაცველ ბრძოლას გადააჯაჭვეს.

**საყოველთაო გაფიცვები ისპანიაში.**

**მოსკოვი,** 9 დეკემბერი. ორშაბათს მთელ ისპანიაში საყოველთაო გაფიცვები გამოცხადდა.

**გაფიცვები იზრდება.**

**მოსკოვი,** 9 დეკემბერი. ნორვეგიაში გაფიცულ რკინისგზელებს უერთდება ფაბრიკა—ქარხნების მუშებიც. ნორვეგიაში მოელიან, გაფიცვები მთელ სახელმწიფოს მოედებაო.

**საალყო წესები ინდოეთში.**

**მოსკოვი,** 9 დეკემბერი. ინდოეთში რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების გამო ინგლისელებმა საალყო წესები გამოაცხადეს.

**უმუშევრობა საფრანგეთში.**

**მოსკოვი,** 9 დეკემბერი. საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში უმუშევრობა იზრდება. უმუშევართა რიცხვი კამბრსში 70 პროცენტს და ლილში 40 პროცენტს უდრის. მუშათა ოჯახებში სიღარიბე მძვინვარებს. მეფაბრიკეები მაინც დიდ მოგებას ღებულობენ და ფუფუნებაში არიან.

**გერმანიის კომუნისტური პარტია.**

**მოსკოვი,** 9 დეკემბერი. გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიას ნახევარ მილიონზე მეტი წევრები ყავს. რიცხვის მხრივ მას ევროპაში მეორე ადგილი უჭირავს:

გერმანიის კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე გამოვიდენ სიტყვით უნგრეთის, გოლლანდიის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. მოხსენებებში ევროპის მდგომარეობის შესახებ ყველამ აღნიშნა, რომ მომავალ გაზაფხულზე ევროპის კაპიტალისტურ მეურნეობას დიდი კრიზისი მოელისო.

**ანტანტის მარცხი აღმოსავლეთში**

**მოსკოვი,** 10 დეკემ. პეტროგრადის „პრავდას" წერილში: „ანტანტის დამარცხება აღმოსავლეთში" სწერს, რომ უკანასკნელ თვეში მახლობელ აღმოსავლეთში ანტანტის კაპიტალისტებმა თავისი პოლიტიკაში უდიდესი მარცხი განიცადესო. ამ უკანასკნელ თვეში აღმოსავლეთის ამბებში ანტანტისთვის 3 მომენტია: 1) ვრანგელის განადგურება, 2) ოსმალეთის ეროვნულ მოძრაობის გაძლიერება და 3) ანტანტის მონა-მორჩილის—ვენიზელოსის დამარცხება საბერძნეთში. ვრანგელის დამარცხებამ, პარიჟის და ლონდონის ბანკირების იმედი გაუცრუა საბჭოთა რუსეთის დამარცხებაში, ამ მსოფლიო რევოლიუციის ტონის მიმცემის. არც დემილიტარიზაცია გატარდა: ორი წელიწადი გათავდა, რაც ევროპის ომი დასრულდა, მაგრამ ოსმალეთის წინააღმდეგ იგი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ამ გემრიელ ლუკმის დასანაწილებლათ მტრის ბანაკში აქამდის დავა და ბრძოლა სწარმოებს. ოსმალეთის ნაციონალისტები ქემალის მეთაურობით სულ უფრო და უფრო ავიწროებენ მოკავშირეთა ჯარებს და აფართოვებს თავის ტერიტორიას. სამუდამოთ ემშვიდობებიან ლონდონის ბანკირები აფშერევონის სიმდიდრესაც.

ახლად შეთითხნილი სტამბოლის მთავრობა არავითარ ძალას არ წარმოადგენს. ვენიზელოსის დამარცხებამ ლონდონის და პარიზის ბირჟებზე დიდი პანიკა შექმნა. ანტანტის მბრძანებელნი სასოებით შესცქეროდენ თავის ლაქია ვენიზელოსს. ვენიზელოსი ბელადია მეომარ მრეწველთა, რომლებსაც ახალი ბაზრების იარაღით დაპყრობა დაუსახავთ მიზნათ. როდესაც ევროპის ომის დროს კაროლი კონსტანტინე ვერვინ ჩაითრია ომში, ვენიზელოსმა საფრანგეთის ჯარების დახმარებით ჩამოაგდო იგი და მეომარ მსხვილ მრეწველთა დიქტატურა გამოაცხადა. საბერძნეთის ხალხი ანტანტის გულის მოსაგებად ზარბაზნის საჭმელ ლეშათ აქცია. საბერძნეთის პროლეტარიატმა და წვრილ ბურჟუაზიამ დიდი მსხვერპლი შესწირა ამ ომს. ამიტომაც მოღალატე ვენიზელოსი არჩევნებში კიდეც დაამარცხეს და მოიწვიეს კონსტანტინე.

ანტანტამ, რომელსაც იმედი ჰქონდა საბერძნეთის საშვალებით დაეპყრო ოსმალეთი, ამნაირათ მარცხი განიცადა რევოლიუციონურ მოძრაობის ტალღებმა მთელი აღმოსავლეთი ფეხზე დააყენა, გამოაღვიძა. შორს არ არის იგი დრო, როცა ხელიდან გაუსხლტება დასავლეთი მისი სიმდიდრის საუნჯე—საზღაპრო აღმოსავლეთი".

**გაფიცვა ლატვიაში.**

**მოსკოვი,** 11 დეკ. რიგაში და ლა-

119
ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქციისაგან: ხამშაბათის №ჭ-რი არ გამოვიდა ელექტრონის ენერგიის უქონლობის მიზეზით.**

ტვიის სხვა ქალაქებში მომავალ კვირაში მოსალოდნელია მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა.

**გაფიცვები ინდოეთში.**

**მოსკოვი,** 11 დეკ. ინდოეთში გაფიცვები გრძელდება. გაფიცულია ნახშირის მთელი სამრეწველოები.

**გერმანიაში.**

**მოსკოვი,** 11 დეკ. გერმანიაში მოსალოდნელი გაფიცვა. მოსამსახურეებმა მთავრობას კატეგორიული მოთხოვნა წარუდგინეს, თუ მათი მოთხოვნა არ იქნა ასრულებული 11 დეკემბერს გაფიცვას აპირებენ. მინისტრთა საბჭო არ მიდის დათმობის გზით.

გამოცემულია ბრძანება, რომლის ძალით აკრძალულია გაფიცვები.

**ფინლიანდიაში.**

**მოსკოვი,** 12 (2) დეკ. რუსეთის მისიამ რეველში ცნობა მიიღო, რომ ფინლიანდიის პარლამენტმა დაამტკიცა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების პირობები.

**ქალთა პროტესტი.**

**ნაუენი,** 10 დეკემბ. ქალთა კავშირმა, რომელშიც შედის 480 ქალაქების და 325 მაზრის ორგანიზაციები, ხალხთა ლიგაში განცხადება შეიტანა. ამ განცხადებას შეუერთდენ გოლანდიის, შვეციის და ავსტრიის ქალთა კავშირები. ქალთა კავშირები მოითხოვენ, გერმანიის საოკუპაციო ზონიდან გაყვანილ იქნან შავ კანიანი ჯარები. განცხადებას თან აქვს დართული სია იმ ქალთა. რომლებზედაც ძალდატანება იხმარეს შავ კანიან ჯარის კაცებმა.

**საფრანგეთი და გერმანია.**

**ნაუენი,** 10 დეკ. საფრანგეთმა გერმანიას შეუკვეთა გასაკეთებლათ 20 ათასი რკინის გზის ვაგონი ფრანგული ტიპის. ამისთვის საფრანგეთი ნაწილს ფულით გადიხდის, ნაწილს კი იმ ვაგონებით, რომლებიც საზავო პირობების მიხედვით გერმანიამ საფრანგეთს გადასცა.

**წარმოების ნაყოფიერების დაცემა გერმანიაში.**

**ნაუენი,** 10 დეკ. მიმდინარე წლის ნოემბერში რურის ოლქში დამზადდა 8 მილიონი ტონი ნახშირი. წარსულ წლის ნოემბერში—კი 9 მილიონი ტონი.

**გაფიცვები სკანდინავიაში.**

**მოსკოვი,** 10 დეკ. რკინის გზელთა გაფიცვა შვეციაში გრძელდება. მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა. ნორვეგიის რკინის გზელთა გაფიცვამ ყველა დარგებზე იქონია თავისი გავლენა.

## გერმანიაში.

**მოსკოვი,** 10 დეკემბერი. სპარტაკელების ყრილობაზე გაერთიანებულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისათვის შემდეგი კანდიდატები იქნა წამოყენებული: კლარა ცეტკინი, ლევი, ბრანდლიარი, ტალგჰეიმერი და გეკერტი. შოკკერმა განაცხადა, რომ მემარცხენე დამოუკიდებელთა პარტიაში ირიცხება 438 ათასი წევრი, რომლებიც იხდიან გადასახადს, ამ რიცხვში 80 ათასი კომუნისტია. ახალი, გაერთიანებული პარტიის წევრთა რიცხვი ნახევარ მილიონ შეკავშირებულ მუშაზე მეტი იქნება. კონგრესს დაესწრო ვილიამსი, რომელიც ინგლისის კომუნისტურ პარტიის სახელით მიესალმა ყრილობას. გაერთიანების რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული.

**მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.**

**მოსკოვი,** 10 დეკემბერი. მილანის სექციის 460 მუშამ დაადგინა შეუერთდეს მე-3 ინტერნაციონალს.

**მდინარეების ადიდება.**

**ბაქო,** 8 დეკემბერი. მდ. მტკვარმა, არაქსმა და სხვა მთის მდინარეებმა შემოდგომაზე ნაპირებიდან გადალახეს და გლეხებს მთელი მოსავლის 25 პროც. გაუნადგურა. მთლათ განადგურებულა 86 ათასი დესიატინა ყანა და სამი სოფელი: ნუხა, გეორგჩაი და აგდაში. აზერბაიჯანის რევოლიუციონურმა კომიტეტმა მოიწვია საუკეთესო გიდრო ტეხნიკები და მოაწყო კომისია წყლდიდობის წინაალმდეგ საბრძოლველათ.

**პური სომხეთისთვის.**

**ბაქო,** 8 დეკემბერი. მეთერთმეტე წითელმა არმიამ პურით დატვირთული ორმოცი ვაგონი გაგზავნა ბაქოდან საბჭოთა სომხეთში. ბაქოდან მატარებელი გამოვა, როგორც-კი მიიღება თანხმობა გზაზე გაშვების შესახებ საქართველოს მთავრობისაგან.

**შვეიცარიის სოციალისტები და მესამე ინტერნაციონალი.**

**ბერლინი,** 11 დეკ. შვეიცარიის სოციალისტურ პარტიის ყრილობაზე არჩევდენ მესამე ინტერნაციონალში შესვლის საკითხს. შესვლის წინაალმდეგი იყვნენ გრიმმი და გრაბი, მესამე ინტერნაციონალში შესვლას მოითხოვდა ემბერ დროზი.

**ნობელის პრემია 1920 წელს.**

**ქრისტიანია,** 11 დეკ. 1920 წლის ნობელის პრემია ზეიმით გადასცეს ამერიკის და საფრანგეთის წარმომადგენლებს—ვილსონს და ლ. ბურჟუას. სტორტინგის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ნობელის კომიტეტი პირველად იკრიბება და იმედი გამოთქვა, რომ მშვიდობიანობის იდეა ყველას გაუჯდება ძვალ რბილში, როდესაც გაიგებენ, რომ ყველა ხმები გაერთიანდენ ვილსონის გარშემო. სტორტინგის თავმჯდომარე იმედს გამოთქვამს, რომ ნორვეგიას ხალხი კომიტეტის გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს, ვინაიდან ვილსონის 15 პუნქტი ამ ჟამად კაცობრიობის იდეალებს წარმოადგენს. შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ მეორე პრემია ლეონ ბურჟუას ეკუთვნისო. ამ განცხადებას მქუხარე ტაშის ცემით მიეგებნენ. აღფრთოვანება გამოთქვეს იმის გამო, რომ საფრანგეთი კარგ დროსაც და მძიმე დროსაც ლეონ ბურჟუას ხელმძღვანელობით მშვიდობიანობის მოყვარულობას იჩენდა.

**გერმანიის ნოტა განიარაღების შესახებ.**

**ნაუენი,** 11 დეკემბერი. ანტანტამ ნოტა გაუგზავნა გერმანიის მთავრობას, რომ მან თანახმათ სპაში დადებულ ხელშეკრულებისა ხალხი განაიარაღოს. საპასუხო ნოტაში გერმანია აღნიშნავს, რომ სპაში დადებულ ხელშეკრულებით, სამოქალაქო განიარაღება დაუშვებელიაო. სამოქალაქო შეიარაღებას საომარი მნიშვნელობა არ აქვსო, იგი დროებითი ზომააო. მაგრამ ჩვენ მაინც მოვახდენთ განიარაღებას თებერვალში დავათავებთ მთელ გერმანიაში, გარდა ბავარიისა და აღმოსავლეთ პრუსიისა, სადაც განსაკუთრებული პირობები არსებობს.

**პოლონეთის ახალი კონსტიტუცია.**

**ნიუიორკი,** 30 ნოემბ. გაზ. „პრიკარპატსკაია რუსი“ სწერს: პოლონეთის სოციალისტები, მუშები და ღარიბი გლეხობა არ არიან კმაყოფილნი კონსტიტუციის პროექტის, რადგან ის იცავს განსაკუთრებით შლიახტას. ახალი კონსტიტუციის მიხედვით ებრაელებს მოქალაქის უფლება ეძლევათ მხოლოდ 21 წლის ასაკიდან, იმ შემთხვევაში თუ ისინი უარყოფენ თავის რასიულ განსხვავებას.

**საფრანგეთს სურს მონარქიის აღდგენა დუნაიზე.**

**ნიუ იორკი,** 30 ნოემ. გაზ. „პრიკარპატსკაია რუსი“ სწერს: საფრანგეთის კაპიტალს არაფერი არ აქვს საწინაალმდეგო, თუ რომ დუნაიზე აღდგება მონარქია. ამ შემთხვევაში რესპუბლიკანური საფრანგეთი იმეორებს ნაპოლეონის საფრანგეთის შეცდომებს. როგორც 1856 წელს პარიზის ზავის შემდეგ ნაპოლეონ მესამემ რუსეთის სურვილების წინაალმდეგ გაამეფა გოგენცოლერნი, ისე ეხლა პარიზის კონფერენციის შემდეგ რუმინია გადააქციეს მცირე იმპერიათ. საფრანგეთი ყოველ ზომებს ხმარობს, რომ გააძლიეროს რუმინია გოგენცოლერნის მეთაურობათ.

**ჩეხო-სლოვაკების პარლამენტში.**

**პრაგა,** 30 ნოემბ. „უნიონი“ გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს 9 ნოემბერს მომხდარ ჩეხო-სლოვაკების პარლამენტის სხდომისას. ჩეხო-სლოვაკების სახალხო ყრილობის სხდომა დიდი აღელვებით ჩატარდა. მოულოდნელათ გამოირკვა, რომ ჩეხო-სლოვაკია ისევ მთავრობის კრიზისის წინაშე სდგას. დოქტორ ჩორნის კაბინეტი დამარცხდა, როდესაც კენჭს უყრიდენ მის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს მოხელეების ჯამაგირის მომატების შესახებ. ჩეხიის და ნემეცთა პარტიების ბლოკმა მიიღო უმრავლესობა—120 ხმა—102 წინაალმდეგ. კენჭის ყრის შედეგს ტაშის კვრით შეხვდენ ჩეხიის კომუნისტები და ნემეცები. როდესაც ირჩეოდა კანონპროექტი მოხელეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ, პარლამენტში დიდი არეულ-დარევა მოხდა. უნდა მომხდარიყო კამათი ერთ წინადადების შესახებ, რომ მოხსნილიყო ტეპლიცაში იმპერატორ იოსების ძეგლი. ჩეხიის მთავრობა იძულებული იყო დაენგრია ეს ძეგლი, რადგან ამ ძეგლთან ნემეცები ახდენდენ დემონსტრაციებს.

შეკითხვის შესახებ კამათის დროს, როდესაც ჩეხიის მთავრობის თავმჯდომარე ჩორნი განმარტებებს იძლეოდა, ნემეცებმა არაჩვეულებრივი ყიჟინა მორთეს, მიუცვივდენ პრემიერ მინისტრს ტრიბუნასთან და მუშტებით ემუქრებოდენ მას. როდესაც ნემეცები ლაპარაკობდენ, პარლამენტის სხდომიდან ისმოდა ხმები „გაუმარჯოს ნემეცურ რევოლიუციას“. ნემეცების შეკითხვა უარყოფილ იქნა ყველა ჩეხების ხმით ნემეცების ხმების წინაალმდეგ.

**დაიგვიანეს**

**პარიზი,** 29 ნოემბ. გაზ. „ლა-ფრანს მილლიტერში“ არის სამხედრო მიმოხილვა ვრანგელის არმიის განადგურებამდის. სამხედრო მიმომხილველი თავის სტატიას ასე ათავსებს: ვრანგელის განადგურებას საყურადღებო შედეგი ექნება. ყოველივე ზომები უნდა მიიღოს ანტანტამ, რაც კი მას შეუძლია, რომ არ მოხდეს ეს განადგურება. უმთავრესათ კი მან უნდა იმოქმედოს დაჩქარებით.

**რაზე ოცნებობდა ვრანგელი**

**აგრამი,** 30 ნოემ. „აგრამერ ტაგებლატი“ სწერს: პარიზიდან მოსულ ცნობების თანახმათ მოკავშირეთ ისევ განუზრახავთ რუსეთში მონარქიის აღდგენა რომანოვების მეთაურობით. მონარქიულ მოძრაობის ხელმძღვანელია გენერალი ვრანგელი, რომელსაც ერთად ერთს შეუძლია თავისი კონტრრევოლიუციონურ ზრახვებით დაეყრდნოს არმიას. ვრანგელი ზედმეტათ სთვლის ამოეფაროს დემოკრატიულ-რესპუბლიკანურ ლოზუნგებს, რასაც ის წინათ აღიარებდა ის თივის თავს აღიარებს იმათ, რაც ის იყო წინათ—რუს გენერლათ.

**„უსიამოვნების თავიდან ასაცილებლათ“.**

**სტამბოლი,** 5 დეკ. გაზ. „დერჯუმანი“ სწერს:

„ჩვენ სრულიათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდებიან და მიიღებენ იტალიის მთავრობის თვალსაზრისს, რომ თავიდან იქნას აცილებული სერიოზული უსიამოვნებები. ჩვენ, ოსმალები, მოუთმენლათ მოველით კანონიერ ზავს, სევრის ხელშეკრულების გადასინჯვას, და ოსმალეთისთვის დაბრუნებას ყველა იმ ადგილების, სადაც უმრავლესობა შცხოვრებთა ოსმალებია. ჩვენ გვწამს, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ოსმალეთი თავის კუთვნილს მიიღებს.

**პოლონეთის ხალხის დამოკიდებულება თავის მთავრობასთან.**

**პარიზი,** 29 ნოემ. „ობშჩეე დელო“ სწერს:

„პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს მთავრობის მიმართ. თითქმის ის წრეებიც, რომლებიც დღემდის ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდენ მთავრობასთან ერთად, დღეს დიდ აღშფოთებას და საყვედურს უცხადებენ მთავრობას. ეს გაფრთხილებები და საყვედური მთავრობის მოქმედების კრიტიკა კი არაა, არამედ მთავრობის სრული უმოქმედობის შედეგია. მთავრობის თავმჯდომარეს და მინისტრებს აფრთხილებენ მასში, რომ მათ ვერ ჰპოვეს ნიადაგი პოლონეთის ხალხში და ამისათვისაც როგორც პოლონეთის ხალხს შეეფერება, ისეთ საკითხებს ვერ სჭრიან.

სეიმის დეპუტატთა ერთი ჯგუფი აფრთხილებს მთავრობას და ეუბნება, რომ ბალახოვიჩის მოქმედება ბელორუსის ტერიტორიაზე მიმართულია ბალშევიკების წინაალმდეგ და ამას შეუძლია ახალი უთანხმოება ჩამოაგდოს პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ამ ცნობებმა გვიან მიაღწია ხალხამდის და ხალხი, რომელიც დღემდის არ გამორკვეულა ომის ბურუსისაგან, დღეს მიმართავს მთავრობას და ეკითხება თუ სად მიყავს მას პოლონეთის ხალხი.

პოლონეთის და უკრაინის დამოკიდებულება კიდევ უფრო აძლიერებს ამ უკმაყოფილებას. პოლკოვნიკ ბელდისკულის მოლაპარაკებამ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან ბერდიჩევში, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თვით მთავრობის წრეებშიაც. მაგრამ საზოგადოებრივის აზრი კი დარწმუნებულია, რომ პოლონეთის მთავრობა არც უკრაინის საკითხშია გარკვეული.

ახლანდელი მწვავე ეკონომიური მდგომარეობა მარკის კურსის დაცემა და საქონლის სიძვირეა, მრეწველობის და ტრანსპორტის დაცემა, ყველა ეს ისეთ უკმაყოფილებას ბადებს ხალხში, რომ პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია გამოერკვეს, თუ რა გზას დაადგეს.

**გერმანია სწუხს**

**ნაუენი,** 11 დეკ. გერმანია ანტანტის სახელმწიფოების წინაალმდეგ საპროტესტო ნოტას ამზადებს. ნოტა გამოწვეულია კელნში და ზემო-სილეზიაში პლებისციტის ხელის შეშლის გამო.

**გერმანიას ხუნდებს ადებენ**

**ნაუენი,** 11 დეკ. ზაპლატნიკის საჰაერო დიდი ფაბრიკის კომიტეტი საპროტესტო წერილს გზავნის „პორვერტსში“. ნოტა გამოწვეულია ანტანტის ნოტებით, რომელშიც იგი (ანტანტა) მოითხოვს, რომ გერმანიამ საჰაერო ფლოტის მზადება და ჰაეროპლანების კეთება შეწყვიტოს. ანტანტის მიზანია ამ ნოტებით მოსპოს გერმანიის საჰეროპლანო მრეწველობა და მით სამუდამოთ ჩამოიცილოს ძლიერი მეტოქე.

**გერმანიის რადიო-სადგურები**

**ნაუენი,** 11 დეკ. ამჟამათ გერმანიაში 68 რადიო-სადგურია, მათ შორის 51 მიმღებია და 17 გადამცემი. სადგურთა რიცხვი რამდენიმე კვირაში ასამდის იქნება. გასულ ნოემბერში გადაგზავნილ იქნა ას-ათი ათასი რადიო, ყოველ დღე ღებულობდენ საშვალოთ 125 ათას დეპეშას.

**„ბალკან-ექსპრესის“ აღდგენა.**

**ნაუენი,** 11 დეკ. ევროპის კონფერენციაზე ბერნში დაადგინეს მოაწყონ მომავალ ზაფხულზე რკინის გზით მიმოსვლა („ბალკან-ექსპრესი“), ბერლინსა და სტამბოლს შორის დრეზდენ-ბუნდებახ-პრაგა - ბრიუნნ - პრესსბურგ - ბუდაპეშტ-ბელგრად-ნიშ-სოფიაში გავლით. ამ მატარებელთან იქნება დაკავშირებული ნიშის და ათინას შორის მიმოსვლა სალონიკში გავლით.

**რუმინიის სენატში ყუმბარა შეაგდეს.**

**ლიონი,** 12 დეკემ. 9 დეკემბერს რუმინიის სენატის დარბაზში ყუმბარა შეაგდეს. მოკლულია გრადო. დაჭრილია იუსტიციის მინისტრი და კრების თავმჯდომარე გენ. კოანდა.

**ბერძნები ვრანგელის შესახებ.**

**ტრაპეზუნდი,** 3 დეკემბერი. ბერძნული გაზ. „ეპოქი“ სწერს:

„ვრანგელს ისეთი ბედი ეწვია, როგორიც დენიკინს. ვრანგელის განადგურებით დამთავრდა რუსეთის კონტრრევოლიუციონურ მოძრაობის ისტორია. სცენიდან ჩამოვიდა სამოქალაქო ომის უკანასკნელი დამნაშავე. იმ რეჟიმის აღმდგენელი, რომელი რეჟიმიც არ არის შესაფერისი ეხლანდელი რუსეთის ხალხისათვის—უკვე დაიღუპა. ამ რეჟიმის აღმდგენელთან ერთად დაიღუპა მისი საქმეც. ვინც იტანჯებოდა რუსეთის ბედით, ეხლა აღფრთოვანებულია სიხარულისაგან, რომ ბოლო მოეღო რუსეთის კონტრევოლიუციონურ მოძრაობას და ძმათა შორის სისხლის ღვრას. ლენინის საქმე მტკიცეთაა და არავითარ კონტრევოლიუციონურ მოძრაობას არ შეუძლია წინაალმდეგობა გაუწიოს რუსეთის ხალხის რევოლიუციონურ შეტევებს იმ ხალხისას, რომელიც იბრძვის თავის დაჩაგრულ ძმების საკეთილდღეოთ.

**ქემალის შტაბის სამხედრო ცნობა.**

**ტრაპიზონი,** 2 დეკემბერი. დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს კზილ-ისარის გზა. ადანის ფრონტზე მტერმა დიდი ზარალი ნახა.

**ვრანგელის მომხრეების რჩევა,**

**ტრაპიზონი,** 6 დეკ. გაზ. „ეპოქი“ სწერს: სტამბოლში ყირიმიდან გადმოხვეწილები სცხოვრობენ გემებზე და იხოცებიან სიმშილით და სიცივით. ჩვენ ურჩევთ ყირიმიდან გადმოხვეწილებს დასტოვონ უცხო მხარე და დაბრუნდენ თავიანთ სამშობლოში და პატიება სთხოვონ საბჭოთა რუსეთის მთავრობას. ნუგექნებათ უცხოელების იმედი, დაბრუნდით თქვენს სამშობლოში, დაემორჩილეთ მის კანონებს.

**ბერძნები უკანიხევენ**

**ათინა,** 5 დეკ. ვენიზელოსის დამარცხებისა და ქემალის მიერ უშაკის ონტზე დიდი ძალების გადაყვანის დეგ საბერძნეთის მთავრობამ ბრძა გასცა, რომ საბერძნეთის ჯარმა დაიხიოს.

**კილიკიაში.**

**ანგორა,** 30 ნოემბ. ადანის ფრონ ტარსურის მიდამოებში მტრის გ წნილ რიგებში მოხდა შეტაკება. შ გი ჯერ არ არის გამორკვეული.

**ევროპის იმპერიალიზმი და ოსმალ**

**ანგორა,** 1 დეკ. გაზეთი „ენი-გი სწერს: „ერთ-ერთი პუნქტი წყეულ რის ხელშეკრულობისა, რომელიც ახვიეს ძალათ თავზე ოსმალეთს პის იმპერიალისტურმა და კაპიტა ტურმა ქვეყნებმა ინგლისის მეთაუ ბით, შეიცავს იმ ზომებს, რომლებ არა მუსულმანები ოსმალეთის ტერ რიაზე ყოველმხრივ უზრუნველყოფ არიან, ერთ-ერთი საბაბი, რომე მოკავშირეებს ნებას აძლევს ჩაერ ოსმალეთის შინაურ საქმეებში, ქრისტიან ხალხთა დაცვა. ასეთ პ ტიკის შემწეობით ჩვენ ძალიან ბ დავკარგეთ, ანატოლიის ქრისტიანე არაფერი არ მიუღიათ. ევროპის ტალიზმს არ შერცხვება, თუ ის ინტერესებისათვის წაუსევს ერთაი- რეს ქრისტიანებს და მუსულმანებს.

ახლა, როდესაც მთელი ქვეყანა ილტვის სოციალურ რევოლიუციისა ანატოლიის ქრისტიანებმა და მუსუ ნებმა უნდა შეკრან ძმური კავშირი როპის ყაჩაღების წინაალდეგ.

დღეს უკვე რუსეთში არ არის მ დესპოტიური მთავრობა. მისი ადგ დაიკავა ისეთმა მთავრობამ, რომე ცნობს და იცავს ყველა ერების თ სუფლებას.

ჩვენც ამ მაგალითს მივდევთ და ჩ ში დასახლებულ ყველა ეროვნებებს ნიჭებთ თავისუფლებას. სმირნა, სა მცხვრებთა უმრავლესობა მუსულმანე არ შეიძლება გადაეცეს საბერძნეთს ვის იმპერილისტურ ზრახვების გა ხორციელებლათ, მით უფრო, რომ ფაქტი არაფრით არ შეიძლება გამარ დეს.

დიდათ სასიამოვნო იქნება, რომ გაიგებდენ ჩვენი ძმები ქრისტიანები შეგვიერთდებოდენ ჩვენ მსოფლიო ი რიალიზმის წინაალმდეგ საბრძოლ ლად“.

**მოლაპარაკება ანგორასთან.**

**სტამბოლი,** 30 ნოემ. გაზ. „აქშა სწერს: „საბერძნეთის უკანასკნელი ა ბი დიდ ცვლილებებს შეიტანს პოლი კურ ცხოვრებაში და მოამზადებენ ხელსაყრელ მომენტს, რომლითაც უნდა ვისარგებლოთ და გამოვიყენ ჩვენი ნაციონალურ მოთხოვნილებებ დასაკმაყოფილებლად. ბუნებრივათ, ნაციონალური პრობლემები თავის თა არ გადაიჭრება, არც გარედან დახმა ბით, ჩვენ დაუხმარებლათ, მაგრამ მივაღწიოთ რეალურ შედეგებს, ჩვენ უ გვყავდეს ერთი მთავრობა, რომე გამოვა მთელ ოსმალეთის სახელით.

ანატოლიამ უნდა უარყოს მტრუ განწყობილება ევროპის ამა თუ იმ ხელმწიფოსთან და შეუერთდეს ს ბოლს, რათა კარგად გამოიყენონ საბ ძნეთის კრიზისი.

**სტამბოლი და ანგორა.**

**ანგორა,** 25 ნოემბ. გაზ. „ენიგი სწერს: „სტამბოლში მომხდარი კაბ ტის გადადგომა ჩვენ არ გვაინტე სებს. ანატოლიამ უნდა განაგრძოს ბრ ლა ნაციონალურ დამოუკიდებლო და თავისი ფიზიკური არსებობის შ ნარჩუნებლათ.

**ვრანგელის მომხრეები სტამბოლშ**

**სტამბოლი,** 4 დეკ. ჯარის ნაწ ოფიცრები და გადმოხვეწილები და ნავეს ბარაკებში გალიპოლში, ჩატა ჟში, კუნძულ ლემნოსზე და სხვაგან. ბინავებულთა რიცხვი უდრის გად ვეწილების ერთ მეოთხედ რიცხვს. მებზე დიდი სივიწროვეა. არ იშო სასმელი წყალი, სურსათი ნაკლება ფრანგები იძლევიან დღეში ერთი თხედ გირვანქა პურს და ათ ზე ერთ კოლოფ კონსერვს. ეპიდემია ნვარებს. ბევრია სიკვდილის თხვევა. გადმოხვეწილები განაწ მდგომარეობაში არიან. ბევრია თ მკვლელობის შემთხვევა. დიდი უკ ფილებაა ინგლისელებისა და ფრა ბის წინაალმდეგ. ამ უკმაყოფილებამ დევ უფრო იმატა, როდესაც ყველ